1963 ოქტომბერი

ბავშვი

№10

572
1963.



როგორ იწრთობოდა ფოლადი

რევაზ ლეალიშვილი ნახატები **ზ. კაპანაძისა**

ერთხელ ნოდარმა უთხრა გიას;—მაღე კომკავშირელი გავხდებიო.

— ვინც კომკავშირელია, გმირია!—თქვა გიამ.

— იცი, ვინ არის გმირი?—შეეკითხა ნოდარი.

— პავკა კორჩაგინი, შენ არ მიამბე?

— კიდევ?

— მეტი არავინ,—თქვა გიამ.

— გაგარინი?

— გაგარინიც...—არ დაიბნა გია.

— მასწავლებელმა გვითხრა, გმირია ყველა, ვინც თავის საქმეში ყოჩაღიაო!—თქვა ნოდარმა.

გიას ძმა ნოდარი გულმოდგინე ბიჭია, ის მართლა მაღე გახდება კომკავშირელი. კარგი მოსწავლეა, მუყაითი, მშრომელი.

— ნოდარ, როდის შეიქმნა კომკავშირი?—ვეკითხები მე.

— ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირი შეიქმნა ორმოცდახუთი წლის წინათ,—დაიწყო ნოდარმა,—1918 წელს. იგი შრომასა და ბრძოლაში მამაცობისათვის დაჯილდოებულია ოთხი ორდენით.—გაკვეთილივით სხაპასხუპით მიაყარა ნოდარმა.

ნოდარმა ბევრი რამ იცის, ის ღირსია, მიიღონ კომკავშირში. კომკავშირში მხოლოდ მას იღებენ, ვინც ყოველ მხრივ წარჩინებულია, გამოირჩევა კარგი ყოფაქცევით და ყველა საქმეს გულიანად ეკიდება,—ვუხსნი ნოდარს და ვუყვები:

— კომკავშირს დიდი და სახელოვანი ისტორია აქვს, პირველი კომკავშირელები ახლა უკვე მოხუცები არიან. მათ ასწავლეს ახალგაზრდობას სწავლაში, შრომასა და ბრძოლაში მამაცობა

აბა, ნახე რუკაზე ხაბაროვსკის მხარე, ქალაქი კომსომოლსკი. ეს ქალაქი 1932 წელს კომკავშირელებმა ააშენეს. რამდენი თავდადება, რამდენი შრომა დასჭირდათ ამ ქალაქის ასაგებად.

როდესაც სულ ახალგაზრდა იყო ჩვენი ქვეყანა, კაპიტალისტებმა პირველად მაშინ მოინდომეს მისი განადგურება და ყოველმხრიდან შემოესივნენ ჩვენს სამშობლოს. მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა მტრის წინააღმდეგ. პირველმა კომკავშირელებმა სწორედ მაშინ ისახელეს თავი.

ამიტომ დარჩა უკვდავ წიგნად ნიკოლოს

ოსტროვსკის წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. პავკა კორჩაგინი მუდამ ახალგაზრდა და მუდამ ცოცხალია...

ჩვენს ქვეყანაში 7 ათასზე მეტ კომკავშირში აღზრდილს აქვს მინიჭებული საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო სახელი.

—ზოია კოსმოდემიანსკაია ხომ გაგიგონია! ფაშისტებმა რომ მოჭკლეს წამებით?—ვეკითხები ნოდარს. იგი თავს მიქნევს.—ზოია რუხაძე? ქართველი—ზოია კოსმოდემიანსკაიაა,—ისიც ხომ მოჭკლეს გერმანელებმა. კომკავშირელი არ იყო აღექსანდრე მატროსოვი, ტანით რომ გადაეფარა მტრის ტყვიამფრქვევს? შოთა გამცემლიძე?.. წამოდგა კაცი სანგრიდან და ტანკს შეუწვა ყუმბარებშემორტყმული. ვინ მოსთვლის კომკავშირელთა საგმირო საქმეებს... კომკავშირმა აღზარდა საბჭოთა კოსმონავტები: გაგარინი, ტიტოვი, ნიკოლაევი, პოპოვიჩი, ბიკოვსკი და მათი „ციური და“ ვალენტინა ტერეშკოვა. აი, ადამიანები, რომლებმაც გაწაცვიფრეს მსოფლიო გმირობითა და სიმამაცით...

ᲓᲔᲚᲘ

ᲓᲦᲔᲡ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ისეთი დიდი საქმე, ისეთი დიდი წამოწყება, რომელშიაც არ მონაწილეობენ კომკავშირელები, კომკავშირის აღზრდილები... ვინ არ იცნობს სახელგანთქმულ ნაირა გოგატაძეს, ლეილა მაღრაძეს, დაღი წივწივაძეს, გრიგოლ ბოგვერაძეს, ბაურ რუსიას, არჩილ ძამაშვილს...რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალო, მეჩაიეები თუ მეტალურგები, მესიმინდეები თუ მემაღაროელები, ფეიქრები თუ სამხედრო მოსამსახურეები, მეზღვაურები, მესაზღვრეები...

ახლა ჩვენს მომავალს ის ადამიანები აშენებენ, რომლებიც კომკავშირმა აღზარდა.

ასე გამოიწრთო ბრძოლის ქარცეცხლში კომკავშირი. ამიტომ ადარებენ მას ფოლადს მტკიცესა და უძლეველს.

ჩემი სიხარული

ა. ონელი

ჩემი დიდი სიხარული
მინდა ყველამ გაიგოს:
მეც მყავს,
მეც მყავს,
მეც მყავს ერთი
ცუგრუმელა დაიკო.

ცეროდენა, ერთი ციცქნა,
სულ პატარა ქალია,
დედასაც ჰგავს,
მამასაც ჰგავს,
მეც მგავს თურმე ძალიან.

დედამ კაბა შეუკერა,
უჰ, რა მშვენიერია,
ალაგ წითელ,
ალაგ ყვითელ,
ალაგ მტრედისფერია.

ჩემი დიდი სიხარული
მინდა ყველამ გაიგოს,
უსათუოდ,
უსათუოდ,
მეზობლებმა ძამიკოც!

შევარიგოთ

გიორგი კაჭახიძე

ნეტავ ჩუმად რატომ არის
დღეს — ზურია ტიტინა!
აივანზე დადის, კოჭლობს,
ალბათ ფეხი იტკინა.

თვალს გვარიდებს, გეგონებათ
ჩვენი უმადურია.
ბენო ამბობს: — თქვენ არ იცით,
რატომ კოჭლობს ზურია?

გუშინ მურას მიეპარა,
ნემსი ჩხვლიტა, გაექცა...
არ მოეშვა, სანამ ძაღლი
კბილით ფეხში არ ეცა.

რომ არ მოდის, ვის ემდურის,
მართლაც უცნაურია!
დავუძახოთ, შევარიგოთ
ზურია და მურია!

ნახატები გ. როინიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამტვრეული მინა

ამ მოთხრობამ ჟურნალ „დილის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და მიიღო მეორე პრემია

კარლო კობერიძე

ნახატები დ. ხახუტაშვილისა

გუშინ ნინო დეიდას ფანჯრის მინა ჩავუმტვრიე.

— გაიქეცი!—მიყვირა პაატამ და ხელი მკრა.

რაღა მისი თქმა მინდოდა; შურდული უბეში გავაქანე და ჩვენი ეზოს იასამნებში დავიმალე,—შემეშინდა და იმიტომ.

ერთხელ პაატამაც გაუტეხა ნინო დეიდას ფანჯრის მინა. მაშინ მამამ აბელა ძიასთან გამგზავნა, მოვიდა აბელა ძია და ახალი მინა ჩასვა...

მალვით შევედი ოთახში.

მამა სამსახურიდან მოსულიყო და გაზეთს კითხულობდა.

დედა კარადაში წიგნებს ალაგებდა.

პაატა ჩურჩხელას სჭამდა და პირგამოტენილი თან სარკეში იყურებოდა. მე რომ დამინახა, მამას ამოეფარა და უთხრა:

— რატიმ ნინო დეიდას ფანჯრის მინა ჩაუმტვრია.

მამამ თავაუწევლად თქვა:

— ჰოო...

დედას, თითქოს არ გაუგონიაო, მეორე ოთახში გავიდა.

მე სკამზე დავჯექი და პაატას თვალები დავუბრიალე.

— რა თვალებს მიბრიალებ,—მიყვირა პაატამ,—ტყუილს ხომ არ ვამბობ!

— ჰოო,—თქვა მამამ და ახლა მეორე გაზეთი აიღო,—რით გატეხე?

— შურდულით. მესერზე თუნუქის ნაჭერი დავამაგრე, იმას ვესროლე და ფანჯარას კი მოხვდა.—ვთქვი მე.

მამას მეტი არაფერი უთქვამს.

სადილად თითქმის ნახევარი შოთი და ნაცარა ქათმის ბარკალი შევჭამე...

როცა დაღამდა და დასაძინებლად დავწექით, პაატამ წამჩურჩულა:

— ნეტავ ამალამ რას მოგვიყვება მამა?

— რა ვიცი, ალბათ მოგვიყვება რამეს

— მელიაზე?

— მელიაზე და ნაცარქექიაზე.

მამა ძილის წინ მხიარულ ამბებს გვიყვება ხოლმე. ჩვენც ვუსმენთ და ვიცინით. იცინის მამაც, დედაც. მერე ვიძინებთ და სულ ეშმაკი მელიები და უქნარა ნაცარქექიები მესიზმრება.

დედა სამზარეულოში იყო, რადგან იქიდან ჯამ-ჟურჟლის ხმაური ისმოდა.

ოთახში მამა შემოვიდა, სკამი ჩვენს საწოლებს შუა ჩადგა, ზედ დაჯდა, ბეჭები საზურგეს მიაყრდნო და დაიწყო:

— მე, როცა თქვენსავით პატარა ბიჭი ვიყავი, დიდ, ძალიან დიდ ქალაქში ვცხოვრობდი...

— თბილისში, მამა?—შევაწყვეტინე მე

— ჰო, შვილო, თბილისში.

— თბილისი დიდი ქალაქია,—თქვა პაატამ.

— იმას ვამბობდი,—განაგრძო მამამ,— მე, როცა თქვენსავით პატარა ვიყავი და თბილისში ვცხოვრობდი, ერთი კიკნა მეზობელი მყავდა, კარგად არ მახსოვს გაგა ერქვა თუ გიგი. იმ ბიჭს ბურთიც ჰქონდა, ველოსიპედიც, შურდული ხომ ჰქონდა და ჰქონდა! იმ შურდულით ხან ბელურებს დასდევდა, ხან კატებს, მერე ცხლებსაც კი არ აძლევდა მოსვენებას. ერთხელ, ერთიც ვნახოთ, მეოთხე სართულზე ფანჯრის მინა ჩაამტვრია...

— მარჯვედ უსვრია!—თქვა პაატამ.

— კარგი შურდული ჰქონია!—ვთქვი მე.

— რა მოხდა მერე,—არ დაგვეთანხმა მამა,—ფანჯრის მინას ზოგჯერ ქარიც ამტვრევს, ზოგჯერ სეტყვა და ზოგჯერ ყვავიც...

— ყვავიც!—ბალიშიდან წამოიწია პაატა,—გახსოვს, რატი, შარშან მინას რომ დაეჯახა და ჩაგვმტვრია?

— ეგ შარშან კი არა, იანვარში იყო, ახლა კი მაისია, არა, მამა?

— მართალია,—დამემოწმა მამა,—შარშან კი არა, აგერ, ახლა იყო, იანვარში. მერე მაგით რა მოხდა, არაფერი! მოვიდა აპელა ძია, მოიტანა მინა და ისევ ჩავსვით. მაშინ კი გიგიმ თუ გაგამ მეოთხე სართულზე მინა რომ ჩაამტვრია, სულ სხვა ამბავი მოხდა. თურმე იმ ოთახში, იმ ფანჯარასთან პატარა გოგო იწვა საწოლზე და ეძინა. უცებ მინის ნამტვრევი შუბლზე მოხვდა და გაუჭრა. დედა თურმე ბაზარში იყო წასული, ბაზარი კი იქვე ახლოს იყო...

— როგორც აქედან და ჩვენი ატამი?—ჰკითხა პაატამ.

— არა, ცოტა უფრო შორს.

— როგორც აქედან და ჩვენი გულაბი მსხალი?—ვკითხე მე.

— ასე იქნებოდა, შეიძლება ცოტა უფრო ახლოსაც,—თქვა მამამ, მერე განაგრძო:—გაეღვიძა გოგონას და დაიწყო ტირილი. გაიგეს მეზობლებმა და შევიდნენ ოთახში. შევიდნენ და რას ხედავენ! ზის გოგონა საწოლზე და ტირის. თან ტირის, თან სისხლი ჩამოსდის შუბლიდან. გამოუძახეს ექიმს. ექიმიც მალე მოვიდა.

— სათვალიანი ექიმი?—დაინტერესდა პაატა.

— არა, იმ ექიმს სათვალე არ ეკეთა.

— რატომ მერე?

— მარტო ჩვენს ექიმს უკეთია სათვალე, ამდენი აღარ იცი?!—გავაჩუმე პაატა.

— იმას ვამბობდი,—ისევ განაგრძო მამამ,—მოვიდა მაშინვე ექიმი, გასინჯა ავადმყოფი, შეუხვია შუბლი და თქვა:

— ახლავე საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ.

ტელეფონით დარეკეს, მოვიდნენ სხვა ექიმებიც, მალე იმ გოგონას დედაც მოვიდა. ჩასვეს ის გოგონა მანქანაში და საავადმყოფოში წაიყვანეს. მაშინ ზაფხული იყო, ცხელი ზაფხული და იმ სიცხეში, ორი კვირა სულ საავადმყოფოში იწვა შუბლგაჭრილი გოგო... მერე, რა თქმა უნდა, სახლში მოიყვანეს. შუბლი აღარ სტკიოდა და აღარც შეხვეული ჰქონდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაჭრილობევი კი ეტყობოდა. იმ ბიჭუნას, რომელსაც ალარ მახსოვს გაგა ერქვა თუ გიგი, შურდული რომ არ ჰქონოდა...

— მერე, ახლა სად არის ის გოგონა!— წამოიძახა პაატამ.

— მართლა, სად არის ის გოგონა!— წამოვიძახე მეც.

მამა ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე თქვა:

— ის გოგონა, ბიჭებო, ახლა დიდი ქალია და თვითონ ჰყავს პატარა შვილები.

— მერე, სად არის ის ქალი?—ვკითხე მე.

— მართლა, სად არის ის ქალი?—არ მოეშვა პაატაც.

მამა ახლა ალარ დაფიქრებულა:

— ის ქალი, ბიჭებო, აგერ არის, სამზარეულოში.

დედას შუბლზე მართლაც აქვს ნაჭრილობევი.

მე და პაატა საწოლიდან წამოვხტით და კარს ვეცით.

— სად მიხვალთ!—გაჯავრდა მამა.

— დედა უნდა ვნახოთ,—ვუპასუხეთ ორივემ.

— ახლა დაიძინეთ და ხვალ ნახეთ.

მამა ოთახიდან გავიდა. მერე ჩვენც დავიძინეთ. პაატასი არ ვიცი, მე კი მთელი ღამე სულ დედა მესიზმრებოდა...

ძალიან მალე გათენდა. საბანი გადავიხადე და საწოლზე წამოვჯექი. პაატა ამდგარიყო. სხვა დროს ერთმანეთს ვაღვიძებდით ხოლმე, ახლა კი გაპარულიყო. მეწყინა. ავდექი, ტანთ ჩავიცვი და ხელ-პირი არ დამიბანია, ისე ჩავირბინე კიბე. შურდულებს კიბისქვეშ ვინახავდით. შევიხედე, იქ მარტო ჩემი შურდული დამხვდა.

დედა თონეს ახურებდა.

მამა ყვავილებს რწყავდა პირმომტვრეული დოქით.

ჩემი შურდული ზურგსუკან ამოვიფარე, მიველ და გახურებულ თონეში ჩავაგდე. ეს ამბავი არც დედას შეუმჩნევია და არც მამას.

პაატას რომ დაენახა, ან დედას ეტყობოდა ან მამას.

მალე დამწვარი რეზინის სუნი დადგა.

მამამ პირმომტვრეული დოქი წყლით ავსო და ღიმილით უთხრა დედას:

— კარგია დამწვარი რეზინის სუნი, არა?

— ახლა კარგია.—თქვა დედამ.

მივიხედ-მოვიხედე, პაატა არსად ჩანდა.

— დედა, სად არის პაატა?

— პაატა აბელა ძიასთან გავგზავნე.— მიპასუხა მამამ.

პატარა მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ დღეს პატარა მარიამი სახეალეწილი მიუახლოვდა დედას, შავი თვალები ძირს დახარა და უთხრა:

— დედი, შენ ამბობდი, რომ ძალიან გიყვარს პატარა ამბები.

— დიახ, ჩემო კუდრაჭა!

— გინდა, დედილო, ერთი პატარა ამბავი გითხრა?

— თქვი, მხოლოდ ძველი არ იყოს!

— არა, დედილო, სრულიად ახალია. მე თვითონ ამ წუთას გავიგე ჩვენს სასტუმრო ოთახში.

— თქვი!

— ძალიან პატარა მოთხრობა კია, დედილო!

— არა უშავსრა! უფრო კარგი, რომ პატარაა!

— დავიწყო?

— დაიწყე!

— იყო და არა იყო რა... თიხის ერთი პატარა ძაღლი იყო, მაგიდაზე იდო...

— კარგი, მერე?

— მერე ისა, რომ ამ წუთში ეს ძაღლი მე გავტეხე, მაგრამ მაპატიე, დედილო, მეორედ აღარას დაგიშავებ!

ჟურნალ „ნაკადული“-დან

პრანჭია ბაჭია

ნაზი კილასონია

გამოვარდა ბაჭია,
თეთრი თათი ასწია:
— აჰა, ბაჭია,
ვარ ყველაზე პაწია.
შეხეთ როგორ მიხდება
წინსაფარი ახალი,
ზედ სტაფილო დავქარგე
და წითელი ჭარხალი.—
ეს რომ ციყვმა გაიგო,
გადაბრუნდა ხარხარით:
— ვიცი, ვიცი ბაჭია,
შე ტრაბახა, პრანჭია,
ეგ ყვითელი სტაფილო
დაგიხატა მამილომ.
ეგ წითელი ჭარხალი,
მეზობელო, კეთილო,
სიცილით და ხარხარით,
დაგიქარგა დედილომ.
დაიკარგე, ბაჭია,
შე ტრაბახა, პრანჭია!

ამ მოთხრობამ ჟურნალ „ფილჭის" ბავშვთა გამოცხადებულ კონკურსში „გამარჯვება" და პირველ მესამე პრემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ფერილით

დოდო ვაჩაძეკორია

— გამარჯობათ. მე სარეკ ვარ, კოტე ჩემი მეგობარია. თქვენც იცნობთ? კარგი ბიჭია, მეოცნებეა.

ღვე ერთია და ათასნაირად იცვლის სახეს: ხან მეზღვაურია, ხან—მთამსვლელი. ხშირად ცაში დაფრინავს.

ჩაიცვამს ტანსაცმელს, შემომხედავს, დამაცქერდება, თუ მოვიწონე, მომესალმება, მხედრულ საღამს მომკითხავს.

ჩვენ ერთნაირად მივდი-მოვდივართ. ერთნაირად ვჭრით გვრიტებს, დავაქროლებთ ელმავალს, გემებს. ამას წინათ მტრის ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავიც ჩამოვაგდეთ.

მე ყველაფერში მხარს ვუჭერ ჩემს მეგობარს. რასაც ის აკეთებს, მეც იმას ვაკეთებ.

ახლა ჩემზე ნაწყენია.

კოტეს მამამ შარვალ-ხალათი მოუტანა. თქვენ გგონიათ ჩვეულებრივია? არა, უცნაურია. ორივე ერთადაა მოქსოვილი. ჯერ ფეხები გაუყარა, მერე ხელები, მერე კოხტად შეიკრა. ქუდიც ზედვა, მაგრამ ჩამოფხატული აქვს.

— მერე რა, ზამთარში გამოადგება,—თქვა დედამ, აიღო და შეინახა. წარმოგიდგენია? შეინახა.

ზაფხული ია ახლა. გარეთ ცხელა. რწყავს მანქანა ქუჩებს, შრება. რწყავს, ოხშივარი ასდის, შრება. გემრიელი ნაყინიც წუთში რძედ ექცა კოტეს.

იმ ღამაზ, ნაცრისფერ შარვალ-ხალათს კი ბურდღუნა დათვის ბეწვი აქვს გამოკერული, რა დროს იმის ჩაცმაა!

ეჰ, კიდევ კარგი, საზაფხულოდ დაითხოვეს კოტე, თორემ განა მუდამ სცალია ჩემთვის.

გამოეწყობა სასკოლო ფორმაში, შემომხედავს და მოკურცხლავს სკოლისაკენ.

ახლა მოსწყენდა მეოცნებეს. ჩემს წინ გრიდ იატაკზე ჩაჯდა, ჩაფიქრდა.

აღბათ ახალი რაღაც მოაგონდა,—ადგიდგან მოსწყდა. ერთი, თვალი გავაყოლო!

ჩუ, მოდის, კარმა გაიკრიალა!

— ერთი ამას დამიხედეთ, ის უცნაური შარვალ-ხალათი არ ჩაუცვამს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე სამყურა ქუდი წამოუხურავს, ძმის ხელთათმანები ჩაუცვამს, სათვალე გაუკეთებია და შემომყურებს: აბა, მომწონს, თუ არა!

— მერე რას აპირებ? — შევყურებთ ერთმანეთს. არქტიკაში ხომ არ მივდივართ? არა, ვერ მივუხვდი...

წავიდა, სამზარეულოდან დიდმუცელა მინის ქილა გამოიტანა და ზედ თავზე წუწკ მეღიასავით ჩამოიცვა.

— კოსმონავტი!—გამეხარდა მე. კოტესაც გაუბრწყინდა თვალები. ერთმანეთს ცხვირები მივადეთ, მერე შორიახლოდან დავაცქერდით. მართალია, ქილიდან ცოტა ბუნდოვნად ვხედავთ ერთმანეთს, მაგრამ ეგ არაფერია.

ახლა ქილის ზემოდან ხარაბუზას რქებივით მავთულები კოხტად დავამაგრეთ, მაგრამ თითქოს რაღაც გვაკლია.

— მოიცა, ახლავე მოვალ!—შემომძახა კოტემ.

რას ვხედავ! ქაღალდზე ფერადი ფანქრებით დაუწერია კოტეს:

„აღმოსავლეთი 6“

— ყოჩაღ, ბიჭო, მაგრამ რითი გავფრინდებით?

— გავფრინდებით!

დიდი ყუთი გამოვიტანეთ. ძლივს, ვიშვიშით, რის ვაი-ვაგლახით ამოვათრიე ერთი რაღაც. მერე გრძელი თოკი კუდივით ავითრიეთ და ელექტროდენში ჩავრთეთ.

— ზზზ, ზზზ, ბზრ, ბზრ!—გაისმა მტვერიყლაპიას ზუზუნი. მივცვივდით, მტვერიყლაპიას ქაღალდი ავაკარით, თვითონ ჩვენ რაშივით ზედ შემოვახტით და შევძახეთ:

— სტარტი! გავფრინდით! ვაშაა!

ნახატები **რ. ცუცქირიძისა**

ბაგუ მებურიშვილი

ქ ი შ ი
ქ ი შ ი
ქ ი შ ი

ჩვენს მამუკას ჭადრაკი
ისე ძლიერ უყვარს,
რომ დიდებთან თამაშზეც
აღარ ამბობს უარს.

გაბედულად უტევს და
სულაც არ აქვს შიში,
წარამარა იძახის:

— ქიში,
— ქიში,
— ქიში!

წუენას მაინც არ იმჩნევს,
თუმც მეორედ აგებს;
მაინც, მაინც სატირლად
უკანკალებს ბაგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ეკეთა ვა ვაკარ



ალექსი ჯონუა

ამალაყინწას რაც შეემთხვა,
მოგიყვებით ახლა:
წუწკი მელა შეამჩნია
ბუჩქში, თავის სახლთან.

დაიყვირა:—თავს უშველეთ!
გეპარებათ მელა!—
და ქათმები ოდის ქვემოთ
დაიმალნენ ხელად.

ეს ძაღლებმა გაიგონეს,
ყველა იქვე გაჩნდა:

— ჩვენს ეზოში რა უნდოდა
ამ-ამ, ამ-ამ, ყაჩაღს!—

მელამ კუდი მოიკეცა,
მიაშურა სოროს.
და გულში თქვა:—ის მამალი
უნდა მოვიშორო!

მოვიშორო და დავსაჯო,
როგორც ღირსი არის...—
შემდეგ დაწვა ღობის ძირას,
ვითომ არის მკვდარი.

და მამალი ღობის ახლოს
რომ გამოჩნდა,
მყისვე
ისკუპა და პირი სტაცა,
გაიტაცა ტყისკენ.

ეს ქათმებმა შეამჩნიეს,
დაუძახეს ძაღლებს:
— მელამ მამალს პირი სტაცა,
ჩვენი თვალით ვნახეთ!

ტყისკენ მიჰყავს,
მიეშველეთ,—
და ძაღლებიც ხელად
წამოიკრნენ, გაექანენ
მამლის დასახსნელად.

როცა ალუა შემოარტყეს,
გზა მოუკრეს როცა,
ის მელია, მურიებმა
დაიკირეს ცოცხლად.

დაიკირეს და დაფლითეს...
მამალს მიულოცეს,
რომ ასცილდა განსაცდელი,
მიემატა ცოცხლებს.

იყო ბეჭობა და კამათი:
— ვუმადლოდეთ ვისა?
ვინ ჩავთვალოთ ამ საქმეში
ქება-ხოტბის ღირსად?

— ამ-ამ, ამ-ამ ამ საქმეში,—
თქვა გოშიამ ბოლოს,—
მადლობის და ჯილდოს
ღირსი
ძაღლები ვართ მხოლოდ.

— კაკა, კა-კა, კარგი ერთი, —
თქვა ვარიამ ფიცხლად,—
ჩვენ გაცნობეთ, ამან საქმეს
დასაბამი მისცა!
თქვენ გეძინათ ოდის ძირში,
გაგაღვიძეთ ჩვენა!—
და მამალმა ბოლოს ყველას
ასე მოახსენა:

— მე ვუმადლი ყველა
თქვენგანს!

მუდამ ვიყოთ ერთად:
მეგობრულად მივიტანოთ
იერიში მტერთან.

აფხაზურიდან თარგმნა
ზოთა აკობიამ

ნახატები ე. ამბოკაძისა



ზაქარია ელბაქიძე

გელას მარტო ყოფნა მოსწყინდა და არ იცოდა რა ექნა.

ამ დროს მამის პიჯაკის ჯიბიდან ასანთმა ამოჰყო თავი და თეთრი კბილებით გაიკრიჭა.

— ბიჭო, გელა, რას აკეთებ მარტოკა, მოდი, სახლობანა ვითამაშოთ.

— ზურიკო აქ რომ არ არის!

— ზურიკო რად გინდა, მე ვიქნები შენი ამხანაგი!

გელას გაუხარდა, გაიქცა და სადაც რამე სათამაშო ეგულებოდა, ყველაფერი მოზიდა; ეს კუბიკებია, ეს მუყაოს სახლებია, გუტაპერჩის ბიჭუნები, მანქანები, მეეზოვე, მეხანძრე...

— აჰ, აჰ, ეგ არ დამანახო!—წამოიძახა ასანთმა მეხანძრის დანახვაზე,—თორემ აღარ გეთამაშები!

გელამაც მეხანძრე შორს მოისროლა.

დაიწყეს სახლობანას თამაში. ააშენეს სახლი, მაგრამ რა სახლი!

— ესეც ესე!—თქვა გელამ.

— ჯერ სადა ხარ,—უთხრა ასანთმა,— სახლს საკვამური არ უნდა? საკვამური თუ ექნება, ბუხარიც უნდა დავატანოთ, თუ ბუხარს დავატანთ, ცეცხლიც უნდა გაჩაღდეს და კვამლი ცაში ადიოდეს...

გელა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და ყველაფერს გულიანად უსრულებდა ასანთს.

— «სადაც კვამლი მაღალია, მეც იმისი მაყარია», — წაიმღერა ასანთმა და გელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარიგა,—მოდი, ახლა საკვამური გავსინჯოთ, ბოლი როგორ ავა.

— არა,—მიუგო გელამ,— ცეცხლთან თამაში ამიკრძალეს!

ასანთმა მაცდურად გაუკრიჭა გელას და სთხოვა:

— მაშ, მოდი, ერთი კბილი ამომიღე და გვერდზე წამისვი, ვნახოთ, რა მოხდება.

გელამაც გაუგონა.

«ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო»— გაიფიქრა ასანთმა, თავი გელას აგებულ ბუხარში შერგო და ქაღალდებში წაიმღერა: «გამხიარულდი ბუხარო, გულჩათხრობილი ნუ ხარო».

მაგრამ, ვაი, ასეთ თამაშს!

ავარდა ალი...

აღრიალდა გელა!..

— ამასობაში გელას გადასროლილი მეხანძრე მაგიდაზე აცოცდა და ტელეფონს ეცა:

— 01—აკრიფა.

— გისმენთ სახანძრო რაზმი!—მიუგეს ტელეფონში და რამდენიმე წუთის შემდეგ მოგრიალდნენ მეხანძრეები წითელი მანქანებით. შეცვივდნენ გელასთან და როგორც იქნა ჩააქრეს ხანძარი.

გელა ძლივს გადაარჩინეს, შეშინებული კუთხეში აბუზულიყო და საცოდავად სლუკუნებდა, ასანთი კი თავისი თეთრი კბილებით ისევ იკრიჭებოდა და ამბობდა:

ხომ გავაბრიყვე გელაო,
ჭკუას ისწავლის ყველაო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქათამი ჭრიან-ჭრიანა

ნახატები ვ. მელიქიშვილისა
ნორვეგიული ზღაპარი

ერთხელ, როცა მოსაღამოვდა, ჩვეულებრივ შეფრინდა ქათამი დიდი მუხის ტოტზე და დაიძინა. იმ ღამით უცნაური სიზმარი ნახა... თუ სასწრაფოდ არ გავემგზავრე დოვერფელზე,[1]) მთელი ქვეყანა დაიღუპებაო!—თქვა დილით.

შეებრალა ქათამს ქვეყანა, ადგა და მის გადასარჩენად წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა, წინ მამალი შემოეყარა.

— გამარჯობა, მამალო-მამლაყინწელა!—შეჰკაკანა ქათამმა.

— გაგიმარჯოს, ქათამო კრიახ-კრიახა!—უპასუხა მამალმა,—ამ დილაადრიან საით გაგიწევია?

— დოვერფელზე თუ არ ავედი, მთელი ქვეყანა დაიღუპება და ამიტომ იქით მივიჩქარი.—მიუგო ქათამმა.

— ვინ გითხრა, ვინ ჩაგაგონა, ქათამო კრიახ-კრიახა?

— წუხელ მუხის ტოტზე მეძინა და სიზმრად ვნახე.—მიუგო ქათამმა.

— თუ ასეა, მეც შენთან მოვდივარ,—უთხრა მამალმა და გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, წინ ერთი იხვი შემოეყარათ.

— გამარჯობა, იხვო ვახ-ვახავ!—მიაყვლა მამალმა.

— გაგიმარჯოს, მამალო-მამლაყინწელა!—მიუგო იხვმა,—ამ დილაადრიან საით გაგიწევია?

— დოვერფელზე თუ არ ავედით, მთელი ქვეყანა დაიღუპება და ამიტომ იქით მი-



[1]) დოვერფელი—ზეგანია ნორვეგიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიჩქარით.—მიუგო მამალმა.

— ვინ გითხრა, ვინ ჩაგაგონა, მამალო-მამლაყინწელა?

— აი, ამ ქათამმა კრიახ-კრიახამ.

— შენ საიდან იცი, ქათამო კრიახ-კრიახა?

— წუხელ მუხის ტოტზე მეძინა და სიზმრად ვნახე.—მიუგო ქათამმა.

—თუ ასეა, მეც თქვენთან მოვდივარ!—თქვა იხვმა და მათ შეუერთდა.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, წინ ახლა ბატი შემოხვდათ.

— გამარჯობა ბატო, ყიყინ-ყიყინავ!—შესძახა იხვმა.

— გაგიმარჯოს, იხვო ვახ-ვახავ!—მიაგება ბატმა,—საით გაგიწევია?

— დოვერფელზე თუ არ ავედით, მთელი ქვეყანა დაიღუპება და ამიტომ იქით მივიჩქარით.

— ვინ გითხრა, ვინ ჩაგაგონა?—ჰკითხა ბატმა.

— მამალმა-მამლაყინწელამ.

— შენ ვინღა გითხრა?

— ქათამმა კრიახ-კრიახამ.

— ქათამმა კრიახ-კრიახამ საიდანღა შეიტყო?

— წუხელ მუხის ტოტზე მეძინა და სიზმრად ვნახე.

— თუ ასეა, მეც თან წამიყვანეთ,—შეევედრა ბატი და ერთად გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, წინ ახლა მელა შემოეყარათ.

— გამარჯობა, მელაო-კუდიგრძელაო!—შესძახა ბატმა.

— გაგიმარჯოს, ბატო ყიყინ-ყიყინავ!—მიაგება მელამ.

— შენ საით, მელაო-კუდიგრძელაო!

— თვითონ საით, ბატო ყიყინ-ყიყინავ?

— დოვერფელზე თუ არ ავედით, მთელი ქვეყანა დაიღუპება და ამიტომ იქით მივიჩქარით!—მიუგო ბატმა.

— ვინ გითხრა, ვინ ჩაგაგონა?—ჰკითხა მელამ.

— იხვმა ვახ-ვახამ შემატყობინა.

— შენ ვინღა გითხრა?

— მამალმა-მამლაყინწელამ!

— ვინ გითხრა, მამალო-მამლაყინწელა?

— ქათამმა კრიახ-კრიახამ.

— შენ საიდან გაიგე ქათამო კრიახ-კრიახა?

— წუხელ მუხის ტოტზე მეძინა და სიზმარი ვნახე,—მიუგო ქათამმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სისულელეა! — თქვა მელამ.—თქვენ ახვალთ თუ არ ახვალთ იქ, ამით ქვეყანა არც დაიქცევა და არც აშენდება. უმჯობესია ჩემთან წამობრძანდეთ, იქ უფრო

ისიამოვნებთ. ჩემს სოროში სითბო და ალერსი გელით.— მოუენაშაქრიანა მელამ.

ბევრი აღარ უფიქრიათ ფრთოსნებს, დათანხმდნენ და მელას სტუმრად ეწვივნენ. ეშმაკმა მასპინძელმა ისე მაგრად გაახურა ღუმელი, რომ ყველას ძილი მოერია. იხვი და ბატი სოროს კუთხეში მიიყუჟნენ, მამალი და ქათამი ქანდარაზე შეფრინდნენ და იქ მოკალათდნენ დასაძინებლად. ის იყო იხვი და ბატი ტკბილ ძილს მიეცნენ, რომ მელამ სტაცა პირი ბატს და შამფურზე წამოაგო შესაწვავად. ქათამს დამწვარის სუნი ეცა, ფრთები აიფაფრა და ცოტა უფრო მაღლა აიწია ქანდარაზე უკმაყოფილო კაკანით,—ფუი, ეს რა სუნიაო.

— სისულელეს როშავ!—შესძახა მელამ.—კვამლი გადის საკვამურში და სხვა რაღაცა მოგეჩვენა. წყნარად იყავ, დაიძინე!

ქათამმა ისევ ძილს მისცა თავი. მელამ ამით ისარგებლა და ახლა იხვს სტაცა პირი, სასწრაფოდ გაპუტა და ცეცხლზე შებრაწა. მერე მიუჯდა და ქეიფს მიჰყო ხელი.

ქათამი ისევ აიფაფრა და ცოტა კიდევ აიწია მაღლა უკმაყოფილო კაკანით,—ფუი, ეს რა სუნიაო და, თვალი გაახილა. ძირს ჩამოიხედა, ხედავს; ზის მელა არხეინად და გემრიელად შეექცევა იხვისა და ბატის მწვადებს. შეშფოთდა ქათამი, კიდევ უფრო მაღლა შეფრინდა ქანდარაზე და საკვამურში გაიხედა.

— ჰოი, მელავ! ჩქარა გადი და გახედე; რა მშვენიერი, მსუქანი ბატები მოფრინავენ!

გაბრიყვდა მელა და კარში გავარდა. კიდევ მოუნდა პირის ჩაგემრიელება! ამით ისარგებლა ქათამმა კრიახ-კრიახამ, მუჯლუგუნი წაჰკრა მამალს-მამლაყინწელას, გაალვიძა, ყველაფერი უამბო თუ რა ბედი ეწია იხვსაც, ბატსაც და,— სასწრაფოდ გამოფრინდნენ გარეთ...

კიდევ კარგი, რომ ისინი მაინც გადაურჩნენ მელას კბილებს და მიაღწიეს დოვერფელს, თორემ ხომ დაიღუპებოდა მთელი ქვეყანა!

თარგმნა თ. ცაგარელმა

ფერად-ფერადი

ვის რა უყვარს

ბრიგოლ ცეცხლაძე

კურდღლებს უყვართ კომბოსტო,
ჩიტებს—კურკანტელი.
შენ რა გიყვარს ნეტავ,
პაწაწინა ნელი?
— „მე?..

ქადა,
ნაზუქი,
ხაჭაპური ცხელი".



მოვუკრიფე
გიას ია,
ახლა
ია
გიასია!

მაყვალა მრევლიშვილი

მზეზე გაქიდე

დედამ პერანგი გაურეცხა იანს:
— წაიღე, შვილო და, მზეზე გაფინე.
წაიღო იანმა შარვალი და მაშინვე შემობრუნდა დაღონებული.
— რატომ არ გაფინე?—შეეკითხა დედა.
— მზეს ვერ შევწვდი.

„ვიახიოლკა"-დან

ნახატები ი. არდიშვილისა

ჩურჩხელა

ვ. ასლამაზიშვილი

— მიტო, აჰა, ორი ცალი ჩურჩხელა, ერთი შენ და ერთიც ნათოს შეუნახე!—თქვა ბებია ნინომ და შვილიშვილს დაშაქრული ჩურჩხელა მისცა.

მიტომ თავისი წილი ჩქარა შეჭამა, ბებიას დარჩენილი ჩურჩხელა გაუწოდა და უთხრა:

— ბებიკო, განა არა სჯობია, ეს ჩურჩხელა ნათოს მისცე, რომ მე შემინახოს?!

თხა

თამაზ შათირიშვილი

წვერცანცარა თხა
კლდის ნაპირზე დგას.
ყურებს აპანტურებს,
იყურება ძირს,
ნეკერს აკნატუნებს,
ჯიქანს ივსებს რძით

Б 72/291

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76055

„ჩვენს ნავსადგურში“ — ნახ. 8 წ.
ზურაბ ქანთარიასი (ფოთი)

„კუბელი“ ნახ. 4 წ.
მარინე სამსონაძისა (თბილისი)

„შემოდგომა“ — ნახ. 6 წ.
მანანა მატკავასი (სოხუმი)

„ჩემი ამხანაგი“ — ნახ. 6 წ.
მერი ჩიქობავასი (თბილისი)

„მელია“ — ნახ. 5 წ.
ოთარ მეგრელიძისა (ბათუმი)

რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი, სარედაქციო კოლეგია: გ. ბებეშვილი, კ. ბოლვიაშვილი, ჯ. ლილუა, მაყვ. მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ჯ. ნინუა, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), რ. ჭეიშვილი.

ხელმოწერილია ალაკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდაზე: „გაგფრინდით“ — ნახატი გ. როინიშვილისა მაკეტი თ. სამსონაძისა ტექრედაქტორი გ. როინიშვილი

გამოდის ოცდამეოთხეჯერ წელი. რედაქციაში შემოსული ფასალები ავტორებს არ დაუბრუნდებიან.

გამომცემლობა „ნაკადული“, გამოსა. შეკვ. № 409, სტამბის შეკვ. № 1337, ტირაჟი 30000, ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/IX-1963 წ.
ჟურნალი დაბეჭდილია პოლიგრაფიულ კომბინატ ჟომუნისტში, ლენინის ქ. № 14 „ПИЛА“ на грузинском языке. Тбилиси, проспект Плеханова № 91.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრსპ. № 31, ტელ. 5-37-38. ფასი 20 კაპ.